

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“



ტექნიკური ანალიზის ან საკონსულტაციო მომსახურებების
შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ.თბილისი
2011 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია	3
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
3. დამატებითი ინფორმაცია	9
4. დანართი N1, ავიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.....	10
5. დანართი N2, პრეტენდენტის შეთავაზება.....	11
6. დანართი N3, საბანკო გარანტიის ფორმა	12
7. დანართი N4, ფასების ცხრილი	13
8. დანართი N5, ტექნიკური დავალება	14
9. დანართი N6, ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ	16
10. დანართი N7, ინფორმაცია ლაბორატორიული აღჭურვილობის შესახებ	17

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1 იურიდიული პირებისათვის:

- (1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- (2) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
- (3) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმე (ცნობა სასამართლოდან);;
- (4) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან).
- (5) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

1.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

- (1) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- (2) პირადობის მომწმობის, პასპორტის ან/და სარეგისტრაციო მომწმობის ასლი;
- (3) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

1.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- (1) ფასების ცხრილი ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N4-ის შესაბამისად.
- (2) პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა, ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ) დანართი N2-ის მიხედვით.
- (3) აკრედიტაციის მოწმობა (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).
- (4) ტექნიკური შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N5-ის მიხედვით;
- (5) ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ, დანართი N6-ის მიხედვით;
- (6) ინფორმაცია ლაბორატორიული აღჭურვილობის შესახებ, დანართი N7-ის მიხედვით.

1.2 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.3 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს: გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 30 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ;

1.4 პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – განცხადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს განცხადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებამდე არა უგვიანეს 30 დღისა.

1.5 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

1.6 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. ასევე, პრეტენდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.7 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

- (1) პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა, ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ) დანართი N2–ის მიხედვით.
- (2) ფასების ცხრილი ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N4–ის შესაბამისად.
- (3) აკრედიტაციის მოწმობა (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).
- (4) ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ დანართი N5–ის მიხედვით.
- (5) ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ, დანართი N6–ის მიხედვით;
- (6) ინფორმაცია ლაბორატორიული აღჭურვილობის შესახებ დანართი N7–ის მიხედვით.

1.8 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

- 1.8.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ), ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5(ხუთი)%–ის ოდენობით, დანართი N3–ის მიხედვით.
- 1.8.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- 1.8.3 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

1.9 ანგარიშსწორების პირობები:

- 1.9.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.
- 1.9.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 1.9.3 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“ სახელშეკრულებო თანხის 10%, ამავე თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
- 1.9.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა და ა.შ.) გაფორმებიდან და შემსყიდველისათვის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

1.10 მომსახურების გაწევის პირობები და ვადები:

- 1.10.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი N5–ის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.
- 1.10.2 წყლის ნიმუშის აღება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით.
- 1.10.3 წყლის ნიმუშის აღება განხორციელდება შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით მის მიერ მითითებულ ადგილებში დანართ N5–ში ჩამოთვლილ ქალაქებში.
- 1.10.4 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას N5 შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ოფისი.

1.11 ფასების ცხრილი:

- 1.11.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი N4–ის მიხედვით.
- 1.11.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილის მისი დირექტორის _____ სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევა შემდეგ თანხაზე: -----

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. ხელშეკრულების საგანი

- წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ტექნიკური ანალიზის ან საკონსულტაციო მომსახურების გაწევა** (CPV71621000 - ტექნიკური ანალიზი ან საკონსულტაციო მომსახურებები).
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის რაოდენობა და ზუსტი აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (დანართი N_), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება

- შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
- შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- ჩასატარებელი ანალიზების ერთეულის ღირებულება, მოცემულია დანართში N__-ში.
- ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, გადახდის ფორმა – უნაღდო.
- დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრები.
- საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.) გაფორმებიდან და შემსყიდველისათვის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“ სახელშეკრულებო თანხის 10%, ამავე თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

3. მომსახურების გაწევის პირობები

- მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი N5-ის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.
- წყლის ნიმუშის აღება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით.
- წყლის ნიმუშის აღება განხორციელდება შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით მის მიერ მითითებულ ადგილებში დანართ N5-ში ჩამოთვლილ ქალაქებში.
- მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას N5 შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ოფისი.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 4.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 4.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 4.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 4.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

6. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 6.1 ტენდერში გამოიყენება გარანტიების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, **(გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ)** ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5(ხუთი)%-ის ოდენობით.
- 6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).
- 6.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- 6.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 6.5 მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
- 7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 7.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;
- 8.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა;
- 8.3 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 8.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 8.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- 8.6 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- 8.7 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- 8.8 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- 8.9 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. ფორს-მაჟორი

- 9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯაროო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

13. შეტყობინება

- 13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
- 13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. გადასახადები და დაბეგრა

- 14.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 14.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

- 16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 16.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია“

- დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას N5;

საკონტაქტო პირი: ალექსანდრე გუგუციძე
ტელეფონი: +99532 91-90-60
ელ.ფოსტა: a.gugutsidze@water.gov.ge

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი “კონკურენტი” აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

პრეტენდენტის შეთავაზება და რეკვიზიტები

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3.	ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:	
4.	ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:	

პრეტენდენტის ხელმოწერა

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

• ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

ჩასატარებელი ანალიზის დასახელება	რაოდენობა	ჩასატარებელი ანალიზის ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	ანალიზის ჩატარების და მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	შენიშვნა
1	4	5	6	7	8	9

ხელმოწერა _____

ტექნიკური დავალება

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში შემსყიდველის მიერ მითითებული ადგილებიდან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების თანდასწრებით წყლის ნიმუშის აღება, ანალიზის ჩატარება და შემსყიდველისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

სინჯების აღება და ხარისხის შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

- 1) „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი“ საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის ბრძანება N349/ნ.
- 2) სანიტარული წესები, სანწ 2.1.4 005-04 „წყლის სინჯის აღების სანიტარული წესები“.

ქალაქები, სადაც უნდა განხორციელდეს წყლის ნიმუშების აღება და ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ანალიზების სრული ჩამონათვალის ჩატარება:

- 1) ყვარელი – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ორი წერტილიდან
- 2) ასპინძა – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 3) ბაღდათი – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 4) ოზურგეთი – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 5) წალენჯიხა – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 6) ონი – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ორი წერტილიდან
- 7) ადიგენი – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 8) ჭიათურა – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 9) ხარაგაული – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 10) ახმეტა – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან
- 11) ამბროლაური – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ორი წერტილიდან
- 12) აბასთუმანი – წყლის ნიმუშის აღება და ანალიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს ერთი წერტილიდან

ჩასატარებელი ანალიზების ჩამონათვალი:

1. წყლის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

- 1.1 სუნნი
- 1.2 გემო
- 1.3 ფერიანობა
- 1.4 სიმღვრივე

2. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები

- 2.1 მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები
- 2.2 საერთო კოლიფორმული ბაქტერიები
- 2.3 E. Coli
- 2.4 პათოგენები მათ შორის Salmonella
- 2.5 კოლიფაგი
- 2.6 ლამბლიების ცისტები
- 2.7 დიზენტერიული ამების ცისტები

3. ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლები

- 3.1 წყალბადის მაჩვენებლები (PH)
- 3.2 პერმანგანეტული ჟანგვადობა
- 3.3 საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი)

4. არაორგანული ნივთიერებები

- 4.1 ბარიუმი
- 4.2 ბორი
- 4.3 დარიშხანი
- 4.4 ვერცხლისწყალი
- 4.5 ქლორიდები
- 4.6 ნავთობპროდუქტები
- 4.7 ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები
- 4.8 სიხისტე

- 4.9 კალციუმი
- 4.10 მაგნიუმი
- 4.11 ნატრიუმი
- 4.12 თუთია
- 4.13 რკინა
- 4.14 კადმიუმი
- 4.15 მანგანუმი
- 4.16 მოლიბდენი (MO, ჯამური)
- 4.17 ნიკელი
- 4.18 ნიტრატები
- 4.19 ნიტრიტები (NO₂)
- 4.20 სელენი
- 4.21 სპილენძი
- 4.22 ტყვია
- 4.23 ფტორიდები
- 4.24 ქრომი
- 4.25 სტიბიუმი
- 4.26 ციანიდები

5. ორგანული ნივთიერებები

- 5.1 პესტიციდების საერთო შემცველობა

6. რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებლები

- 6.1 საერთო α - რადიოაქტიურობა
- 6.2 საერთო β - რადიოაქტიურობა

სავალდებულოა მიმწოდებელს გააჩნდეს ბოლო სამი წლის მანძილზე ანალოგიური ანალიზების ჩატარების გამოცდილება და შებამისი ლაბორატორიული აღჭურვილობა ანალიზების ჩასატარებლად.

ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ

(ბოლო 3 წელი)

პრეტენდენტი: _____

N	დამკვეთის დასახელება	ჩატარებული ანალიზების/კვლევების დასახელება	ღირებულება	ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ინფორმაცია ლაბორატორიული აღჭურვილობის შესახებ

პრეტენდენტი: _____

N	ლაბორატორიული აღჭურვილობის დასახელება	ექსპლუატაციის პერიოდი	მესაკუთრის დასახელება